საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2025 წლის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლით განსაზღვრული ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2025 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში (შემდგომში - სამინისტრო) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 2025 წელს სულ შემოსულია 46 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 20 შემთხვევაში;
- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 10 განმცხადებელს, კერძოდ: 6 განმცხადებელს განემარტა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული საგარეო საქმეთა სამინისტროში, 2 განმცხადებელს ეცნობა რომ მათ მიერ წარმოდგენილი განცხადება არ შეიცავდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, ხოლო 2 განმცხადებლის მიერ, მოთხოვნის მიუხედავად, არ მომხდარა წარმოდგენილი განცხადებების დაზუსტება.
- განხილვის პროცესშია - 16 განცხადება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არც ერთი ადმინისტრაციული საჩივარი. აგრეთვე, ადგილი არ ჰქონია საჯარო მოსამსახურეთა მიერ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის საფუძვლით დისციპლინური სახდელების დადების ფაქტს.

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემებს, სამინისტრო ახორციელებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას შემდეგი ფუნქციების განხორციელებისას:

- თანამშრომელთა პირადი საქმეების მატერიალურად შედგენისას/განახლებისას;
- სტაჟიორთა და პრაქტიკანტთა პირადი საქმეების შედგენისას (მატერიალურად და ელექტრონულად);
- დიპლომატიური სამსახურის რეზერვში/მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირთა პირადი საქმეების შედგენისას/განახლებისას;
- ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით გამოცხადებულ ღია კონკურსებში და შიდა შერჩევებში მონაწილეთა დოკუმენტაციის დამუშავებისას;
- საკადრო ხასიათის, ანაზღაურებადი/არაანაზღაურებადი შვებულების, მივლინების, პროფესიული განვითარების შვებულების, კლასებისა და დიპლომატიური რანგების მინიჭების, ჯილდოს მინიჭების, წახალისების/დისციპლინური ხასიათის და სხვა ბრძანებების მომზადებისას;
- მოთხოვნის საფუძველზე სხვადასხვა ხასიათის ცნობების მომზადებისას;

- განცხადებით მომართვისას;
- სასამართლო წარმოებისას;
- თანამშრომელთა სატელეფონო ცნობარების შედგენისას/განახლებისას;
- ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა eHRMS-ში თანამშრომელთა პირადი საქმეების შეტანისას/განახლებისას;
- სხვადასხვა ხასიათის სტატისტიკური მონაცემების შედგენისას;
- საქართველოს მოქალაქეთათვის საკონსულო მომსახურების გაწევისას;
- საზღვარგარეთ მყოფი/მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვისა თუ რეალიზაციის მიზნით საკონსულო დახმარების გაწევისას (სამოქალაქო მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინფორმაცია სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით, ფინანსური მდგომარეობა, ინფორმაცია მემკვიდრეობის თაობაზე, და სხვა);
- საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისას;
- საქართველოს სამსახურეობრივი სარგებლობის პასპორტების გაცემისას;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისას;
- საზღვარგარეთ გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის საქართველოში გადმოსვენებისას;
- ექსტრადიციასთან და მსჯავრდებულის გადაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებებისას;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს ვიზის, მათ შორის, დიპლომატიური და სპეციალური ვიზების გაცემისას;
- საქართველოში საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საკონსულო დაწესებულებების გახსნისა და საკონსულო დაწესებულებების მუშაკთა დანიშვნის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებისას;
- საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების, დიპლომატიური მისიების, საკონსულო დაწესებულებების, თავდაცვის, საზღვაო და საჰაერო ატაშეების, მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური წარმომადგენლობებისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაწესებულებების თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის დამუშავებისას;

- კანონმდებლობით სამინისტროსათვის დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებისას.

ამასთან, აღნიშნული კატეგორიის ინფორმაციის შენახვა სამინისტროში წარმოებს, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური ფორმით. ორივე შემთხვევაში, ინფორმაციის შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესი დაცულია. რაც შეეხება აღნიშნული კატეგორიის ინფორმაციის მესამე პირისათვის გადაცემას, იგი ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესის შესაბამისად.

ასევე, გაცნობებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობა ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსს'', ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონსა და ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2025 წლის 5 ივნისის N195 დადგენილებას.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2025 წლის 22 ივლისის N01-674 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის დირექტორატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - თეა ლეკვეიშვილი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.